საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

„დრონი“

„დრონი“, ყოველკვირეული დამოუკიდებელი, საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

გამოდიოდა თბილისში 1991–2001 წლებში. „დ." აშუქებდა საქართვ., რუსეთისა და საზღვარგარეთის პოლიტ., ეკონ., სოც. და კულტურულ საკითხებს. „დ." 16-გვერდიანი იყო. 1991 წელს გამოდიოდა კვირაში ერთხელ, 1992 წლიდან – კვირაში ორჯერ. „დ-ის" რედაქტორები იყვნენ: ა. გოგელია, თ. ქორიძე, თ. ჩიქოვანი, ს. სიმონიშვილი, გ. ჩოჩიშვილი.

გაზეთი „დრონი" (1991–2011)

„დ-ში" სხვადასხვა დროს მუშაობდნენ ჟურნალისტები: თ. მეტრეველი, მ. რატიშვილი, ს. ჩხაიძე, ი. ალავიძე, ე. ხოფერია, თ. გოგოტიშვილი, თ. კინწურაშვილი, ნ. ვადაჭკორია და სხვ. დაიხურა ფინანს. პრობლემების გამო. „დ-ის" გამოცემა განახლდა 2011 წ-იდან (მთ. რედ. ა. გოგელია), რედაქტორები: თ. ქორიძე, პ. ნაცვლიშვილი, თ. ჩიქოვანი.

24-გვერდიანი გაზეთი გამოდიოდა კვირაში ერთხელ. იმავე წლის სექტემბერში გაზეთმა კვლავ შეწყვიტა არსებობა.

თ. ჩიქოვანი